**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# არჩილ II

არჩილ II

**არჩილ II** (1647, თბილისი, – 16. IV . 1713, მოსკოვი), იმერეთის მეფე 1661–63, 1678–79, 1690–91, 1695–96, 1698, კახეთისა – 1664–75; პოეტი, მოსკ. ქართ. ახალშენის ფუძემდებელი, ქართ. შრიფტისა და ბეჭდური წიგნის შემქმნელი. მამის, *ვახტანგ V*-ის, კარზე მიიღო კარგი აღზრდა. შეისწავლა საერო და სას. ლიტ-რა, დაეუფლა აღმოსავლურ ენებს. პირველად 14 წლისა გამეფდა იმერეთში. ვახტანგ V-ისა და ა. II-ის გამაერთიანებელ პოლიტიკას წინ აღუდგნენ დას. საქართველოს რეაქციული ძალები, რ-ებმაც ოსმ. დახმარებით **ა. II** სამეფო ტახტს ჩამოაშორეს. **ა. II** სპარსეთს გაემგზავრა (1663), სადაც იგი მაჰმადიანობის მიღების პირობით კახეთის მეფედ დაამტკიცეს და შაჰ-ნაზარ-ხანი უწოდეს. ამ აქტით ქართლისა და კახეთის სამეფოები ფაქტობრივად გაერთიანდა. ცოლად ჰყავდა კახელ ბაგრატიონთა შთამომავალი ქეთევანი (დავით ბატონიშვილის ასული), რ-თანაც შეეძინა შვილები: დარეჯანი (იხ. [დარეჯან ბატონიშვილი](), ალექსანდრე (იხ. [ალექსანდრე ბატონიშვილი]()), მამუკა და დავითი. ა. II-მ დედაქალაქი გრემიდან თელავში გადაიტანა, ფართოდ გაშალა სააღმშენებლო საქმიანობა, განაახლა ეკლესიები, ნაწილობრივ ალაგმა ლეკთა თარეში. 1675ა. II-მ ტახტი რუსეთიდან დაბრუნებულ *ერეკლე I*-ს დაუთმო, თვითონ კი ოჯახით იმერეთში გადავიდა. XVII ს. 70-იან წლებში **ა. II** რამდენჯერმე გამეფდა იმერეთში, მაგრამ ოსმ. მხარდაჭერით იმერეთის თავადაზნაურობამ ტახტიდან გადააყენა. თავისი პოლიტ. და კულტ. მიზნების განსახორციელებლად მან რუსეთთან დაკავშირება გადაწყვიტა. ამ მიზნით მოსკოვს ელჩობა გაგზავნა, თვითონ კი ოჯახით და ამალით 1682 ოსეთში გადავიდა. იმავე

წელს რუს. მეფის თედორე ალექსის ძის მიწვევით მოსკოვს გაემგზავრა. იგი ასტრახანს ჩავიდა, სადაც 1685-მდე ცხოვრობდა. რუს. სამეფო კარის გადაწყვეტილებით მას თერგზე დასახლება შესთავაზეს. ა. II-მ 1685 ჩააღწია მოსკოვში. იქ იგი დაუახლოვდა სამეფო კარის წევრებს, უცხოელ მოღვაწეებს და ფართო პოლიტ. და კულტ. მოღვაწეობა გააჩაღა. ამ დროისათვის მოსკოვში ჩავიდა ქართლის მეფის *გიორგი XI*-ის ელჩი ლავრენტი (გაბაშვილი), რ-მაც რუს. სამეფოს ქართლთან სამხ.-პოლიტ. კავშირი შესთავაზა. ა. II რუს. დახმარების იმედით იმერეთში გასამეფებლად გაემგზავრა XVII ს. 90-იან წლებში იგი რამდენჯერმე ავიდა იმერეთის ტახტზე, მაგრამ საბოლოოდ ვერ მომაგრდა და 1699 ისევ რუსეთს გაემგზავრა. 1700 პეტრე I-მა მოსკოვს დამკვიდრებულ ა. II-ს და მის შვილს ალექსანდრე ბატონიშვილს ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში ვრცელი მამულები უბოძა. ამ აქტით მოსკ. ქართ. ახალშენი, რ-ის შექმნისათვისაც ა. II იღვწოდა, ეკონომიკურად განმტკიცდა. მოსკოვში, სოფ. ვსესვიატსკოეში და სხვ. გაიშალა სააღმშენებლო და მთარგმნელობით-კულტ. საქმიანობა. ა. II აქტიურად იბრძოდა საქართველოს განთავისუფლებისათვის. რუსეთში, მასთან შემოკრებილ მოღვაწეებთან ერთად, ქართ. ნაბეჭდი წიგნის შექმნა გადაწყვიტა. ქართული შრიფტის დასამზადებლად ის ჯერ კიდევ მოსკოვში პირველი ჩასვლის დროს (1685) დაუკავშირდა ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს ნ. ვიტსენს. 1703 მას უკვე ხელთ ჰქონდა ქართ. შრიფტი და მომზადებული ჰყავდა ქართვ. ოსტატებიც. პეტრე I-მა მას ნება დართო ქართ. წიგნები მოსკოვში დაებეჭდა. 1705 მარტში მოსკოვში გამოვიდა პირველი ქართ. ნაბეჭდი წიგნები – „დავითნი“ (600 ცალი). ა. II-მ დიდი მუშაობა ჩაატარა მთელი ბიბლიის ტექსტის სასტამბოდ მოსამზადებლად (დაიბეჭდა 1743 ბაქარის თაოსნობით), რუს ხელისუფალთა დავალებით შეადგინა მოკლე ნარკვევი – „საქართველოს აღწერა“ და რუკა. ა. II-მ ქართ. ახალშენის განმტკიცებისათვის მოსკ. დონის მონასტერში „უფლის მირქმის“ სახელზე ეკლესია მოაწყო. საფუძველი ჩაუყარა პანთეონს. ა. II-მ მოსკოვის ქართ. ახალშენის მემკვიდრეობა თავის ასულს დარეჯან ბატონიშვილს უანდერძა.

ვსესვიატსკოეში დაფუძნებულმა ა. II-მ ინტენსიური ლიტერატურული საქმიანობა განაგრძო; აქვე გაასრულა დიდი კრებული, ე. წ. „არჩილიანი“, რ-შიც შევიდა მთელი მისი მდიდარი და მრავალფეროვანი პოეტური მემკვიდრეობა. ა. II-ის უმთავრესი ნაწარმოებია ისტ. პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ („თეიმურაზიანი“). რუსთველისა და თეიმურაზ I-ის პოეზიაზე აღზრდილი და გაწაფული, ორივე პოეტის დიდად დამფასებელი ავტორი, მაინც გაემიჯნა მათს ლიტერატურულ მიმართულებას, უფრო ზუსტად – უცხო სიუჟეტებით და „ზღაპრული“ ამბებით გატაცებას. ორი პოეტის პაექრობაში ა. II რუსთაველის მხარეზე იყო, რ-საც ქართ. პოეზიის მესაძირკვლედ თვლიდა და, მისი აშკარა გავლენით, პოეზიას სიბრძნის დარგად მიიჩნევდა, თუმცა ვეფხისტყაოსანში მოთხრობილი უცხო სახელმწიფოთა ამბები „სპარსთა ნათქვამად, ნაჭორად“ მიაჩნდა და ამ მხრივ გენიალურ პოემას ვერ ასხვავებდა თეიმურაზ I-ის ნათარგმნ თხზულებათაგან. „გაბაასებაში“ მოთხრობილია თამარის ეპოქის საქართვ. ისტ. ამბები, აგრეთვე თეიმურაზ I-ის თავგადასავალი იმდროინდელი საქართველოს უმძიმესი ვითარების – შინააშლილობის,

ურთიერთშუღლის, ფეოდალთა თავგასულობის, ზნეობრივი დაკნინების ფონზე. შთამომავლობისათვის მისაბაძ მაგალითად ა. II გიორგი სააკაძესა და ზურაბ ერისთავს სახავდა (გ. სააკაძემ შვილი, ხოლო ზ. ერისთავმა ცოლი გაწირა სამშობლოს გადასარჩენად), ამასთან, კიცხავდა მხოლოდ პირადი გამორჩენის მოსურნე მზვაობარ ფეოდალებს („ასრე სჭირს საქართველოსა დიდებულთ გინა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან, უჩვენოთ ვით იმღერეთა“). ა. II-მ გაკიცხა შთამომავლობით ყოყოჩობა, კეთილშობილების საზომად ადამიანის პიროვნული ღირსებანი მიიჩნია, გლეხკაცობა ქვეყნის დიდმნიშვნელოვან ძალად აღიარა („თუ ამოწყდა გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდეს“).

ე. წ. აღორძინების ხანის (XVI–XVII სს.) მწერლობაში ა. II-მ სათავე დაუდო ეროვნ.-პატრ. თემატიკის დამკვიდრებას. პოლიტ. ცხოვრებაში ანტისპარს. ტენდენციის გამტარებელი, იგი ასევე შეუპოვრად ებრძოდა სპარს. ზეგავლენას იდეოლოგიურ სფეროში, რაც, მისი აზრით, წალეკვით ემუქრებოდა ქართ. კულტ. თვითმყოფობას. პოეტი ამხილებდა მშობლიური ენის უცხ. ლექსიკით დანაგვიანების უკეთურობას და ქართ. ენის სიწმინდის დაცვას მოითხოვდა (კრებ. „სამიჯნურო“).

ა. II-მ ქართ. მწერლობაში დააფუძნა „მართლის თქმა“ – თავისებურად გაგებული რეალისტური შემოქმედებითი მეთოდი. რეალური კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტებით დაინტერესებასთან ერთად იგი ამავე ფაქტების პირუთვნელ ასახვას მოითხოვდა. „მართლის თქმის“ არჩილისეულმა გააზრებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართ. სულიერი კულტ. შემდგომ განვითარებაზე.

ა. II-მ შექმნა სახელმძღვანელო ტრაქტატი „საქართველოს ზნეობანი“, „დიდაქტ.-მორალისტური „ლექსნი ასნი ორმუხლნი“, „ლექსნი ასდაათნი“ და „ლექსნი ასეულნი“, ამ თხზულებებში აღიბეჭდა საგანმანათლებლო იდეებიც. საქართვ. წინსვლისა და კეთილდღეობის საწინდრად ავტორი საზ-ბის წევრთა სწავლა-განათლებით აღჭურვას და სარწმუნოებრივ-მორალური გრძნობების განმტკიცებას მიიჩნევდა.

ა. II-ს ეკუთვნის აგრეთვე „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, პატარ-პატარა სატრფიალო ლექსთა კრებ. „სამიჯნურონი“, „ანბანთქება“, „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“, მან გალექსა „ვისრამიანი“, რუსულიდან თარგმნა „ალექსანდრიანი“, მსოფლიო ისტორია – „ქრონოგრაფი“ და სხვ.

გარდაიცვალა მოსკოვში. დაკრძალეს დონის მონასტერში.

*თხზ.*: არჩილიანი (თხზულებათა სრული კრებული), ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., ალ. ბარამიძის წინასიტყვაობით – „არჩილის ცხოვრება და შემოქმედება“, ტ. 1–2,

თბ., 1936–37.

*ლიტ.*: ა ს ა თ ი ა ნ ი ნ., კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664–1674), კრ.: საქართველო და აღმოსავლეთი, თბ., 1984; ბ ა რ ა მ ი ძ ე ალ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1940; ბ ა რ ა მ ი ძ ე რ., არჩილ ბაგრატიონი, თბ., 1983; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ფ., რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, კრ.: მეგობრობა, თბ., 1981.

***ა. ბარამიძე***

***ფ. სიხარულიძე***